ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3851245

ნომერი: AR1568845

თარიღი : 06.01.2018

გაცემის თარიღი : 06.03.2018

გაცნობის თარიღი : 06.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა , N99 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩხაიძე პ/ნ 01004008072
- თბილისი მთაწმინდის შეს. N 7ა ბ. 14

ორგანიზაცია:

- სტუდია9 კოდი: 404429515

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 01.08.2006 წ. №პრ/594 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 06.01.2018 წ. # AR1568845 განცხადებით მომართეს აკაკი ჩხაიძემ და და ზურაბ ბაქრაძემ და მოითხოვეს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 01.08.2006 წ. №პრ/594 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა საკადასტრო ერთეულის მონაცემების შეცვლასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 01.08.2006 წელს ქალაქ თბილისში, ა. ბელიაშვილის ქ. №99-ში არსებულ საკადასტრო ერთეულზე ,,რესტორანი წისქვილი"-ს საბანკეტო დარბაზის მიშენების მიზნით დადგინდა №პრ/594 ქალაქთმშენებლობითი პირობები.
სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2833330 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 01.08.2006 წ. №პრ/594 ქალაქთმშენებლობით პირობებში. კერძოდ, დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882016035462), მიწის ნაკვეთის საერთო ფართობად მიეთითა 4825 კვ.მ., საკადასტრო კოდად დაფიქსირდა - №01.13.02.008.119.
დღევანდელი მდგომარეობით განხორციელდა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცის ცვლილება ფართობის და საკადასტრო მონაცემების უცვლელად. შესაბამისად, განმცხადებლები ითხოვენ სამსახურის 01.08.2006 წ. №პრ/594 ქალაქთმშენებლობით პირობებში ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 01.08.2006 წ. №პრ/594 ქალაქთმშენებლობით პირობებში. კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა: საკადასტრო კოდი: #01.13.02.008.119, განცხადების ნომერი: #892017213692, მომზადების თარიღი: 18/12/2017, ფართობი: 4825 კვ.მ., ვალდებულების ფართობი: 120 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 01.08.2006 წ. №პრ/594 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ

მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.